საქართველოს პარლამენტი

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

№ 8923
25.05.2018

საქართველოს პარლამენტის

საორანიზაციო დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

გიგზავნით საქართველოს პარლამენტის ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის მეექვსე სხდომის შესახებ ანგარიშს.

დანართი: 13 ფურცელი

პატივისცემით,

თამარ ხულორდავა

კომიტეტის თავმჯდომარე

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე

ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

ა ნ ა გ ა რ ი შ ი

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის მეექვსე სხდომის შესახებ
26 აპრილი, 2018 წელი
ევროპარლამენტი, ბრიუსელი

26 აპრილს, ევროპარლამენტში, ბრიუსელში, ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის მეექვსე სხდომა გაიმართა. სხდომას ხელმძღვანელობდნენ კომიტეტის თანათავმჯდომარეები, თამარ ხულორდავა, საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, და ევროპარლამენტის წევრი, საჯად კარიმი (კონსერვატორების პოლიტიკური ჯგუფი, გაერთიანებული სამეფო).

სხდომაში მონაწილეობდნენ ასოცირების საპარლამენტო კომიტეტში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის შემდეგი წევრები: ირინე ფრუიძე, ბექა ნაცვლიშვილი, ნინო გოგუაძე, ოთარ დანელია, გუგული მაღრაძე, დიმიტრი ცქიტიშვილი, სალომე სამადაშვილი, ოთარ დანელია.

კომიტეტმა განიხილა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები, დემოკრატიული რეფორმები და საკონსტიტუციო ცვლილებები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმები, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა, ასოცირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების განხორციელება და ღია მმართველობის დანერგვა სახელმწიფო ინსტიტუტებში.

საქართველოს პარლამენტის და ევროპარლამენტის წევრებმა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებისა და ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენელებს მოუსმინეს. საქართველოს მთავრობის სახელით კომიტეტის წინაშე წარსდგნენ: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნინო ჯავახაძე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე ეკატერინე მიქაბაძე. ადამიანთა უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე კომიტეტმა მოისმინა საქართველოს სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას ანგარიში.

ვახტანგ მახარობლიშვილმა ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრებთან ისაუბრა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში 2017 წლის და 2018 წლის პირველ კვარტალში მიღწეულ პროგრესზე. მიესალმა ევროკავშირთან პარტნიორობის უწყვეტ განვითარებას ასოცირების ხელშეკრულების გამოყენებისა და ევროკავშირის სააგენტოებში გაწევრიანების გზით.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მოქმედების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძემ. მან ისაუბრა ღონისძიებებზე რომლებიც არსებული რეჟიმის შეუფერხებელ გამოყენებას უზრუნველყოფს და კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია მთავრობის განსაკურებული ძალისხმევის შესახებ გააძლიეროს

თანამშრომლობა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართალდამცავ სტრუქტურებთან.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა კომიტეტს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა და საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკა გააცნო. მან თავის გამოსვლაში ოკუპირებულ ტერიტორიებზე მძიმე ყოველდღიურობაზე ისაუბრა, რაც მოუგვარებელი კონფლიქტის შედეგად, გადაუჭრელ პრობლემად რჩება. აღნიშნა, რომ 2008 წლიდან, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, მოსახლეობა, ხელოვნური გამყოფი ხაზის ორივე მხარეს, სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ცხოვრების ყველა სფეროში, სრულ და ექსკლუზიურ კონტროლს ახორციელებს. ხელოვნური ბარიერები და ღობეები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რეგულარულად მონტაჟდება, რაც რეგიონების იზოლაციას აძლიერებს. სახელმწიფო მინისტრმა წარადგინა მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ", რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და გამყოფი ხაზების გასწვრივ კონტაქტების, მიმოსვლის, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობების წახალისებას.

ევროპარლამენტარებს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა სახალხო დამცველმა, ნინო ლომჯარიამ გააცნო. მან ისაუბრა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის აუცილებლობაზე, სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების ხარვეზებზე, პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე, ქალთა მიმართ ძალადობის და თანასწორობის საკითხებზე, შრომის უფლებებზე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მდგომარეობაზე. სახალხო დამცველმა ასევე ყურადღება გაამახვილა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე და ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველოსთან ერთად გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, გამოიყენოს სხვადასხვა ინსტრუმენტები და მექანიზმები, რათა არჩილ ტატუნაშვილის და გიგა ოთხოზორიას მკვლელობები, ასევე სხვა ასეთი მრავალი შემთხვევა დაუსჯელი არ დარჩეს.

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტმა, ასოცირების საბჭოს საყურადღებოდ, მეექვსე სხდომაზე განცხადება და რეკომენდაციები მიიღო:

- ევროპარლამენტმა და საქართველოს პარლამენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს რომ ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები ეფუძნება საერთო ღირებულებებს, ინტერესებს და თანამშრომლობას, დემოკრატიულ პრინციპსა და ანგარიშვალდებულებას, რაც საქართველოს ევროკავშირთან აახლოვებს.

- კომიტეტი დადებითად აფასებს ხელისუფლების ძალისხმევას, ხალხისა და საზოგადოების სასარგებლოდ, მოახდინოს **ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების სრულად შესრულება** და ამ გზით უზრუნველყოფს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაცია.

- ასოცირების კომიტეტმა დადებითად შეაფასა **დემოკრატიული რეფომები** შემდეგ სფეროებში: ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა, ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები, ენერგოეფექტურობა, გარემო და კლიმატის ცვლილება, მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები.

- ასოცირების კომიტეტს მიაჩნია რომ ევროკავშირმა უნდა მოახდინოს აღმოსავლეთ პარტნიორობის მოწინავე ქვეყნის - საქართველოს მეტად წახალისება და რეფორმების მხარდაჭერა **დიფერენცირების პრინციპის** საფუძველზე. კომიტეტი მოუწოდებს ევროკავშირის ინსტიტუტებს საქართველოსთვის გაზარდოს ფინანსური მხარდაჭერა ასოცირების ხელშეკურლების ამბიციური მიზნების განსახორციელებლად.

- ასოცირების კომიტეტი ხაზს უსვამს სამომავლო სამუშაოების მნიშვნელობას **საქართველო-ევროკავშირის ამბიციური პარტნიორობის პოტენციალის სრულად ათვისებისთვიდ** და ამ მიმართულებით იწონებს ახლად ინიცირებულ, ხელისუფლების ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავების კონკრეტულ სამოქმედო გეგმას, საქართველოს მისწრაფებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

- ასოცირების კომიტეტი კვლავ იმეორებს საქართველოს **სუვერენიტეტისდმი ევროოკავშირის უპირობო მხარადჭერას** და დადებითად აფასებს ახალ სამშვიდობო ინიციატივას "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ", რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აფხაზებსა და ოსებს სთავაზობს. აღიარებს, რომ ეს ინიციატივა ქვეყნის მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების გზაზე უალტერნატივო ნაბიჯია.

- ევროპარლამენტის მხადე დადებითად აფასებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შეუფერხებელ მიმდინარეობას სახელმწიფოს მიერ განხორციელებული წარმატებული რეფორმების შედეგად რომელიც ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეების ერთიან ევროპულ სივრცეში თავისუფალ გადაადგილებას და ქვეყნის ევროპეიზაციას.

2018 წლის, 17-18 სექტემბერს, ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი მორიგი სხდომისთვის საქართველოში შეიკრიბება.

PARLIAMENT
OF GEORGIA

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი

მეექვსე სხდომა
26 აპრილი, ბრიუსელი
განცხადება და რეკომენდაციები
ასოცირების ხელშეკრულების 411 (3) მუხლის შესაბამისად

2018 წლის 26 აპრილს, ბრიუსელში გაიმართა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის მეექვსე სხდომა, საქართველოს პარლამენტის მხრიდან თამარ ხულორდავასა და ევროპარლამენტის მხრიდან, საჯად კარიმის თანათავმჯდომარეობით. საქართველოს მთავრობის სახელით კომიტეტის წინაშე წარსდგნენ: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნინო ჯავახაძე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე ეკატერინე მიქაბაძე და საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია.

განიხილეს რა, საქართველო ევროკავშირს შორის მიმდინარე ურთიერთობები, ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი შეთანხმდა შემდეგ საბოლოო განცხადებასა და რეკომენდაციებზე.

ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი:

<u>ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები</u>

1. მიესალმება საქართველო - ევროკავშირის ურთიერთობების უწყვეტ განვითარებას, რომლშიც გამოხატულია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში განხორციელებული ისეთი ახალი მნიშვნელოვანი მიღწევები, როგორიც არის 2017 წლის 28 მარტიდან ევროკავშირსა და საქართველოს შორის უვიზო რეჟიმის ამოქმედება და 2017 წლის 1 ივლისს საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება;

2. კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკური მისწრაფებების ურყევ მხარდაჭერას; კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეს მისწრაფებები სცდება მხარეთა მიზნებს და მხარდაჭერილია საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ. მიუთითებს ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, საქართველოს შეუძლია გააკეთოს განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე, დემოკრატიისადმი მხარდაჭერით, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების და უმცირესობათა უფლებების დაცვითა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფით;

3. განმეორებით აღნიშნავს, რომ გამარტივებული გადაადგილება, რაც საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას მოჰყვა, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე ისტორიული განვითარებაა და ევროკავშირსა და საქართველოს სავიზო დიალოგის ფარგლებში გატარებული ყოვლისმომცველი რეფორმების შედეგს წარმოადგენს. მიუთითებს იმ პოზიტიურ შედეგებზე, რაც ვიზა ლიბერალიზაციას მოჰყვა ხალხთა შორის კავშირების, ბიზნესის მობილობის, მეცნიერების, კულტურის, ტურიზმის განვითარებისა და ოჯახების გამთლიანების თვალსაზრისით.

4. ხაზს უსვამს, რომ უვიზო გადაადგილების სისტემის მოქნილი ფუნქციონირება, როგორც საქართველოს, ასევე ევროკავშირის მოქალაქეების ინტერესს წარმოადგენს; ითვალისწინებს რა, 2017 წლის 20 დეკემბერს ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ პირველ ანგარიშს ვიზა ლიბერალიზაციის განხორციელების თაობაზე, რომლითაც დადებითად შეაფასდა საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა. მიუთითებს უვიზო რეჟიმის გარკვეულ ხარვეზებზე, როგორიც არის ევროკავშირის ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, საქართველოს მოქალაქეების მხრიდან დარჩენის ვადის დარღვევისა და თავშესაფრის სისტემის ბოროტად სარგებლობის გაზრდილი შემთხვევები; ამ მიმართულებით მიუთითებს, სამართალდამცავ და საბაჟო სფეროებში ახლო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე; არსებული სისტემის დამაზიანებელი პრაქტიკის თავიდან აცილების მიზნით, მიესალმება, საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ სწრაფ და საპასუხო ზომებს; მოუწოდებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რომ საქართველო აღიარონ, როგორც უსაფრთხო ქვეყანა, რომელიც იმოქმედებს თავშესაფრის მაძიებელთა მიერ სისტემის ბოროტად გამოყენების შეკავების მიმართულებით;

5. მიიჩნევს, რომ როგორც პრიორიტეტული საკითხი, ორმხრივი ურთიერთობები უნდა ფოკუსირდეს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების სრულ განხორციელებაზე, რომელიც საქართველოს და მის მოქალაქეებს მაქსიმალური სარგებლის მიღების შესაძლებლობას აძლევს; ამასთან დაკავშირებით, მიესალმება საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების უწყვეტ ძალისხმევას, ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შეთანხმების ვალდებულებების შესაბამისად მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების ხელშეწყობისთვის;

6. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოსთვის, ევროკავშირის მხრიდან გაწეული ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა 2017-2020 წლებისთვის 371 და 453 მილიონ ევროს მიაღწევს, რომელიც „მეტი მეტისთვის" პრინციპის დამატებით ხელმისაწვდომ სახსრებს წარმოადგენს; მიესალმება მაკრო-ფინანსური მხარდაჭერის ზრდას, რომელიც საქართველოს 2017-2020 წლებისთვის საგარეო ფინანსური საჭიროებების ნაწილის დაფარვაში დაეხმარება, საშუალო ვადიანი სესხებისა (35 მილინიო ევრო) და გრანტების (10 მილიონი ევრო) საშუალებით; მიმართავს ევროკომისიას, გაზარდოს დახმარება, რათა საბიუჯეტო ინსტრუმენტები თანხვედრაში მოვიდეს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის პოლიტიკური ამბიციებთან და შექმნას ინდივიდუალური ასოცირების ინსტრუმენტი: რაც შეეხება 2020 წლის მრავალწლიური ფინანსური ჩარჩოს ერთ საფინანსო ინსტრუმენტად პოტენციურ

გარდაქმნაზე მიმდინარე განხილვებს, მოუწოდებს ევროპარლამენტს, რომ მოითხოვოს სხვა ინსტრუმენტებისგან განცალკევებული, ასოცირებული წევრებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შენარჩუნება.

7. აღნიშნავს, ევროკავშირში ქართული პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას და დივერსიფიკაციას, რაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების განხორციელების პროცესის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს, ხაზს უსვამს, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და ფერმერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში;

8. დადებითად აფასებს საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებულ უწყვეტ საინფორმაციო კამპანიებს, რომლებიც მიზნად ისახავს მოქალაქეების, კომპანიებისა და ფერმერების ინფორმირებულობას, ყველა იმ სარგებელისა და ეკონომიკური შესაძლებლობის შესახებ, რომელსაც ასოცირების შეთანხმება/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება იძლევა და რაც ხელს უწყობს შესაბამისი ადაპტაციის პროცესის მართვას და აგრეთვე, რუსეთის მიერ წარმოებული დეზინფორმაციული პროპაგანდის დაძლევას.

9. მიესალმება საქართველოს ენერგობაზრის ინტეგრაციის პროგრესს, ევროკავშირის საკანონმდებლო რეგულაციებთან დაახლოების მეშვეობით, ასოცირების შეთანხმებისა და ენერგო გაერთიანების ხელშეკრულების შესაბამისად; საქართველოს ხელისუფლებას აძლევს რეკომენდაციას გააძლიეროს ეროვნული ენერგობაზარი სამართლიანი კონკურენციის, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნის, განახლებადი ენერგიისა და ენერგო ეფექტურობის სტიმულირების საფუძველზე; ამასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ საქართველო სარგებლობს EU4Energy პროგრამით ისევე, როგორც კლიმატური ცვლილებების და მწვანე ეკონომიკის, ენერგო უსაფრთხოების, განახლებადი ენერგიისა და ენერგო ეფექტურობის, აგრეთვე, სატრანსპორტო უსაფრთხოებისა და კავშირგაბმულობის რეგიონული პროგრამებით; მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გააძლიეროს ენერგო ინფრასტრუქტურის ქსელები და შიდა კავშირები, ენერგო მიმწოდებლების უსაფრთხოების გაძლიერების უზრუნველსაყოფად;

10. რეკომენდაციით მიმართავს კომისიას, ხელი შეუწყოს საქართველოს მონაწილეობას ევროკავშირის პროგრამებში, რომლებიც ღიაა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისათვის და ასევე, უზრუნველყოს საქართველოს სათანადო სამართლებრივი სტატუსით მონაწილეობა ევროკავშირის სააგენტოებში;

11. კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ასოცირების შეთანხმების განხორციელების გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება რჩება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ საკითხად და რომ მმართველობის პროცესში სამოქალაქო საზოგადობის მონაწილეობა აძლიერებს მოქალაქეთა ჩართულობას და ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით და მთავრობის საქმიანობის გაუმჯობესებული საპარლამენტო ზედამხედველობით;

12. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველო იმ მცირე ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება,

რომელთა ხელისუფლების ყველა შტო ჩართულია ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესში და ჩართულობის პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობისთვის ახორციელებს კონკრეტულ აქტივობებს; ასევე, მიესალმება საქართველოს მისწრაფებას, ხელი შეუწყოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ღია მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი ჩართულობისკენ;

ევროპარლამენტი და საქართველოს პარლამენტი

13. მიესალმება ფაქტს, რომ საქართველო არის ევროპარლამენტის პრიორიტეტული ქვეყნების სიაში, დემოკრატიული ნაბიჯების მხარდაჭერისათვის და დადებითად აფასებს საქართველოს პარლამენტისთვის მიმდინარე შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამას; აგრეთვე, დადებითად აფასებს სასარგებლო და კონსტრუქციულ აქტივობებს, რომლებიც ამჟამად განხორციელდა პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისთვის, რაც პარლამენტის შიდა რეფორმისა და მოდერნიზაციის პროცესიის წარმატებით განხორციელებას ემსახურება. რეკომენდაციას იძლევა აღნიშნული პროგრამა გაგრძელდეს ექსპერტიზისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების საფუძველზე;

14. აღნიშნავს საქართველოს პარლამენტის ძალისხმევას გააძლიეროს, როგორც ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესზე აგრეთვე, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების პროცესში ჩართულ აღმასრულებელ ორგანოებზე პოლიტიკური ზედამხედველობა. მიესალმება ახლახანს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომელიც უსაფრთხოების სექტორში საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას ისახავს მიზნად; ხაზს უსვამს, რომ ამ ფუნქციების შესრულება მოითხოვს პარტიებს შორის კონსტრუქციული დიალოგის წარმართვას და საპარლამენტო სტრუქტურებში კარგი კოორდინაციის მექანიზმების განვითარებას;

15. კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საპარლამენტო ზედამხედველობის როლის მნიშვნელოვნად განხორციელებისთვის, ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი მუდმივად უნდა იყოს ინფორმირებული, როგორც ასოცირების კომიტეტში, ისე მის ქვე-კომიტეტებში მიმდინარე პროცესების თაობაზე;

აღმოსავლეთი პარტნიორობა და რეგიონული თანამშრომლობა

16. ხაზს უსვამს, აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნებს, რომლებიც სტაბილურობის, ნდობის აღდგენისა და თანამშრომლობის, დემოკრატიული რეფორმების, კარგი სამეზობლო ურთიერთობებისა და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებას, აგრეთვე ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავებასა და ვაჭრობის ხელშეწყობას ემსახურება; იწონებს საქართველოს დინამიურ ძალისხმევას ამ მიზნების მისაღწევად, რის საფუძველზეც საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის მოწინავე ქვეყანაა; მიუთითებს, რომ 2017 წლის 24 ნოემბრის აღმოსავლეთი პარტნიორობის სამიტზე ნათლად გამოჩნდა, აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნების განსხვავებული მისწრაფებები, მათ ევროპულ გზაზე; ხაზს უსვამს, რომ აღმოსავლეთი პარტნიორობის

განსხვავებულობის პრინციპის მიხედვით, თითოეულმა პარტნიორმა უნდა გააღრმაოს ევროკავშირთან თანამშრომლობა მისი ამბიციის, რეფორმების ხარისხისა და ტემპის შესაბამისად;

17. მიესალმება, თბილისში ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის" დაარსებას, როგორც 2020 წლისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთ ძირითად მიღწევას; მხარს უჭერს საქართველოს და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების დაახლოებას ევროკავშირთან საერთაშორისო სასწავლო გეგმის შექმნით, რომელიც მოსწავლეებსა და სტუდენტებს განათლებისა და მობილობის შესაძლებლობას მისცემს ევროპის ფარგლებში;

18. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფუძემდებლური პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს მიიჩნევს, სამეზობლო ურთიერთობებისა და რეგიონული თანამშრომლობის კარგ მაგალითად, მიუხედავად რუსეთის მხრიდან დესტაბილიზაციისკენ მიმართული უწყვეტი ქმედებებისა;

<u>რეფორმები, არჩევნები და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა საქართველოში</u>

19. აღნიშნავს, 2018 წლის მარტში, საკონსტიტუციო რეფორმის დასრულებას და იმეორებს, რომ საკონსტიტუციო რეფორმის თაობაზე ევროკავშირის პოზიცია, ემთხვევა ვენეციის კომისიის დადებით შეფასებას საკონსტიტუციო ცვლილებებზე; მიუთითებს 2018 წლის 19 მარტის ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნაში გაკეთებულ განცხადებაზე, რომ საკონსტიტუციო რეფორმა „იმსახურებს დადებით შეფასებას, რომელიც სრულყოფს საპარლამენტო სისტემის მიმართ საქართველოს პოლიტიკური სისტემის განვითარებას და წარმოაჩენს პოზიტიურ ნაბიჯს ქვეყნის კონსტიტუციური წესრიგის გაერთიანებისა და გაუმჯობესებისათვის, რაც ეფუძნება დემოკრატიის პრინციპებს, კანონის უზენაესობასა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას"; აღნიშნავს, რომ ვენეციის კომისიის მიერ წარმოდგენილი „დამატებითი შესწორებები აუმჯობესებს კონსტიტუციის ტექსტს" და „უმეტესწილად ეფუძნება კომისიის წინა რეკომენდაციებს";

20. აღიარებს სასამართლო სისტემის მთლიანობისა და ეფექტურობის ხელშეწყობის მიზნით მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს; მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ეფექტურად განახორციელოს საქართველოს სასამართლო რეფორმის 2017-2021 წლების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა, რაც ყველა მოქალაქისთვის დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და პროფესიონალურ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სასამართლო რეფორმა რჩება საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტად, რაც გამოიხატა სასამართლო რეფორმის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნით, რომელშიც ჩართულები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები; აღნიშნავს, რომ სასამართლო რეფორმის მე-4 ტალღა ეხება დისციპლინურ წარმოებას, განსახილველი საქმეებით გადატვირთულობის პრობლემის მოგვარებას, იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმასა და დამატებითი რეგულაციების დანერგვას იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის;

21. მიესალმება შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის შექმნას, რომლის უფლებამოსილებაა სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების, დისკრიმინაციის, სქესობრივი ძალადობის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვნების მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება; მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ახლად შექმნილი სამსახური მოვალეობის ზედმიწევნით შესრულებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სათანადო რესურსით;

22. ხაზს უსვამს მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმების მნიშვნელობას; მიესალმება ახლად ამოქმედებულ კანონს „საჯარო სამსახურის შესახებ", რომელიც საჯარო მოხელეების მიღების პროცესს ხდის უფრო კონკურენტუნარიანს, პროფესიონალურს, დამოუკიდებელსა და გამჭვირვალეს.

23. მოუწოდებს საქართველოს მთავრობას განახორციელოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა, თანმდევი ეფექტური ბიუჯეტირებით, ანგარიშგებით და საჯარო ფინანსების აუდიტით, რაც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების უფრო ეფექტურ და ინკლუზიურ განაწილებას;

24. განმეორებით აღნიშნავს, რომ გარემოსდაცვითი მმართველობა არის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების ძირითადი მიმართულება; მიესალმება ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი შეფასების ახალი კოდექსის მიღებას; მიესალმება ნარჩენების მართვის მონაცემთა ბაზის შექმნას და ასევე, გარემოსდაცვითი ინფორმაციის თაობაზე ახალ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოჰყავს; მიესალმება კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის გზამკვლევის მიღებას; მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას უფრო მეტად დაუახლოვოს ქვეყნის პოლიტიკა ევროკავშირის მიზნებს კლიმატის ცვლილებებთან საბრძოლველად, 2015 წლის პარიზის შეთანხმების შესაბამისად და დაასრულოს დაბალემისიანი სტრატეგიის შემუშავება;

25. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გადადგას აუცილებელი ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, ქალების გაძლიერებასა და მათ დაცვას ყველა სახის ძალადობისგან, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" სტამბულის კონვენციის მიხედვით, რომლის რატიფიცირება საქართველომ 2017 წლის 1 სექტემბერს მოახდინა; მიესალმება 2018 წლის მაისის გადაწყვეტილებას პოლიციის ყველა დანაყოფში სპეციალიზებული გამომძიებლებისა და ოჯახური ძალადობის საქმეების გამოძიებაზე ზედამხედველი პროკურორების დანიშვნის შესახებ;

26. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ეფექტური ღონისძიებების გატარებით დაასრულოს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის

გატაცების საქმის გამოძიება, რათა ნათელი მოეფინოს აღნიშნულ შემთხვევას;

27. აღნიშნავს, რომ მედიის და გამოხატვის თავისუფლება არის ფუნდამენტური უფლება, რომელიც ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელშეწყობასა და დაცვას საჭიროებს, მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას ხელი შეუწყოს ძლიერ და პლურალისტურ მედია-გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას;

<u>შრომის კანონმდებლობა</u>

28. იწონებს „შრომის უსაფრთხოების შესახებ" ახალი კანონის მიღებას, რომელიც სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვას და მათი უფლებებისა და მოვალეობების მკაფიო ჩარჩოს შექმნას უზრუნველყოფს. თუმცა, წუხილს გამოთქვამს, რომ ახალი კანონის რეგულირების სფერო შეზღუდულია მაღალი რისკის შემცველი სამუშაო ადგილებით; ხაზგასმით აღნიშვნას, რომ მისი ეფექტური განხორციელება ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად კრიტიკულად მნიშვნელოვანია;

29. მიესალმება 2018 წლის ასოცირების შეთანხმების განხორციელების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შრომის უფლებების წინ წამოწევას; თუმცა აღნიშნავს, რომ მეტი პროგრესის მისაღწევად და არსებული გამოწვევების დასაძლევად, საჭიროა შრომის კოდექსის გაუმჯობესება;

30. სინანულს გამოთქვამს საქართველოში სამუშაო ადგილებზე მომხდარ ხშირ, ფატალურ შემთხვევებზე, განსაკუთრებით მაღაროელებისა და მშენებლების გამო; ხაზს უსვამს შრომის ინსპექციის სისტემის მანდატისა და შესაძლებლობების გაძლიერების მნიშვნელობას, ევროკავშირისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად, რათა მოგვარდეს უსაფრთხოების საკითხები, სამუშაო პირობები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა გამოწვევები; კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მედიაციისა და სოციალური დიალოგის მნიშვნელობას პროფკავშირებსა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებს შორის;

31. მიესალმება ბოლო ათწლეულის განმავლობაში უმუშევრობის მაჩვენებლის დაღმავალ ტენდენციას; მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას დამატებითი მაკროეკონომიკური რეფორმების დანერგვისაკენ, რომლებიც სამუშაო ადგილების შექმნასა და შრომის ბაზარზე გენდერული დისბალანსის აღმფხვრას უზრუნველყოფს;

<u>საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება</u>

32. აღნიშნავს, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება ფარავს საქართველოს მთელ ტერიტორიას, რომლის სარგებელიც ვრცელდება მთელს მოსახლეობაზე; ადასტურებს მის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში;

33. გმობს, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპაციისა და ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, საქართველოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რომელიც უხეშად არღვევს მის საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს დაიცვას საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგი; მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას შეასრულოს ევროკავშირის შუამდგომლობით გაფორმებული 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული ვალდებულებები და გაიყვანოს ყველა სამხედრო ძალა ოკუპირებული ტერიტორიებიდან; მოუწოდებს ევროპარლამენტს მიიღოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რეზოლუცია, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით ძალისხმევის გაძლიერებისკენ მოუწოდებს;

34. მკაცრად გმობს რუსეთის ყველა ნაბიჯს, რის შედეგადაც ხდება ინტენსიური მილიტარიზაცია, უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული მდგომარეობის შემდგომი გაუარესება, საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ინტენსიური მილიტარიზაცია, გადაადგილების თავისუფლებისა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა, უკანონო დაკავება, გატაცება, ისევე, როგორც ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებელთა უფლებების უხეში დარღვევა და ეთნიკური დისკრიმინაცია;

35. შეშფოთებას გამოთქვამს 2018 წლის თებერვალს საქართველოს მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის პატიმრობაში ძალადობრივ მკვლელობაზე; მიიჩნევს, რომ 2016 წელს გიგა ოთხოზორიას აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან მკვლელობის მსგავსად, ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფა მეტყველებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებათა მდგომარეობის გაუარესებაზე; მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, როგორც ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ ძალას და მის საოკუპაციო რეჟიმს, რომ არ შეაფერხოს საგამოძიებო პროცესი, რათა ტატუნაშვილის მკვლელობაში პასუხიმგებელი პირები წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე;

36. მხარს უჭერს საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკას კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის, დიპლომატიის, მოლაპარაკებებისა და დიალოგის საშუალებით 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად და აგრეთვე, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში კონსტრუქციულ მონაწილეობას, ისევე, როგორც ძალის ცალმხრივ გამოუყენებლობას; ხაზს უსვამს ჟენევის მოლაპარაკებების დღის წესრიგის მთავარ საკითხებს, როგორიცაა ძალის გამოუყენებლობა, საერთაშორისო უსაფრთხოების ზომები და იძულებით გადაადგილებული პირების უსაფრთხო დაბრუნება; იწონებს საქართველოს მთავრობის მცდელობებს, რომ შეინარჩუნოს დიალოგის ნებისმიერი ფორმა და აფხაზეთისა და ცხნივალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობასთან კავშირი, რათა ხელი შეეწყოს ხალხთა შორის კონტაქტებს და საოკუპაციო ხაზს მიღმა მცხოვრებ მოსახლეობასთან ნდობის აღდგენას, შემცირდეს იზოლაცია და გაუმჯობესდეს მათი კეთილდღეობა; იწონებს 2018 წლის აპრილში საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ სამომავლო სამშვიდობო ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც მიზნად ისახავს

ადმინისტრაციული გამყოფი საზღვრების გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას შორის ვაჭრობის, განათლებისა და გადაადგილების გამარტივებას;

37. წუხილს გამოთქვამს, რომ საქართველოს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან ასობით ათას იძულებით გადაადგილებულ პირს და ლტოლვილს შეელახა ფუნდამენტური უფლებები და ხაზს უსვამს მათ სახლებში უსაფრთხო, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების მნიშვნელობას;

38. მიესალმება ევროკავშირის მტკიცე განზრახვას, კვლავ აქტიურად მიიღოს მონაწილეობა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში, ისეთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტების მეშვეობით, როგორიცაა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანა-თავმჯდომარეობა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, აგრეთვე, არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკა; სინანულით აღნიშნავს, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას არასდროს ჰქონია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე/სამხრეთ ოსეთზე წვდომა; ადასტურებს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის გაძლიერების აუცილებლობას, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით;

<u>შემდეგი სხდომა</u>

39. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი შემდეგი სხდომის გამართვას გეგმავს 2018 წლის 17-18 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტში, თბილისში

მიღებულია 2018 წლის 26 აპრილს, ბრიუსელში, კომიტეტის რეგლამენტის მიხედვით, ორივე დელეგაციის, ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის, უმრავლესობის მხადაჭერის შედეგად (ევროპარლამენტის დელეგაცია: 5-მომხრე, 0-წინააღმდეგი და 0-თავი შეიკავა; საქართველოს პარლამენტი: 7-მომხრე, 0-წინააღმდეგი, 2-თავი შეიკავა).